საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 51 დეკემბერი 19 1899 წ. № 51

შინაარსი: ბერები ნ. ყორდანიასი. —სხვა-და-სხვა ამბები.—„ყვავლის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე გ—ოსი. —ჩვენი სახლობა სტუმრ..სა.—*** ლექსი დ. თომაშვილისა.—ველოსიპედით შემოვლა ქვეყნის გარშემო.—ბელგიიდან ლ. დ—სა.—ხალხის გულის მესაიდუმლე (დასასრული) ივ. გომართელისა.—მტრები (დასასრული) ელ. წერეთლისა.—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ჯეჯილის ათი წლის საიუბილეო ნომერი გამოვა შობა დღეს. ჟურნალის ათი წლის ანგარიში იქნება წაკითხული შობის მეორე დღეს, 26 რიცხვს, 12 საათზე წერა კითხვის საზოგადობის სამკითხველოში, რომელიც იმყოფება სათავად-აზნაურო შენობაში. იმედია, საზოგადოება მოინდომებს საყმაწვილო ჟურნალის ამბის დაახლოვებით გაცნობას.

ბ ე ს ტ ა ბ ე ბ ი.

ამ უკანასკნელ სამ თვეში, რომლის განმავლობაში ბედმა, თუ უბედობამ, სრული სიჩუმე მარკუნა, ერთი დიდათ საგულისხმიერო მოვლენა დატრიალდა, ერთი დიდათ საყურადღებო გარემოება აღმოცენდა. ქვეყნის ერთ უშორეს კუთხეში, აფრიკის ერთ მოვარდნილ ალაგას ყოფილა პატარა სახელმწიფო, პატარა ერი, რომლის შესახებ დღემდის თითქმის არავინ არაფერი იცოდა, რომლის არსებობას არავინ არ ამჩნევდა და რომელმაც დღეს აალაპარაკა მთელი ევროპა, მთელი კაცობრიობა. ეს სახელმწიფოა ტრანსვაალის რესპუბლიკა, ეს ერია ბურები. ბურებმა, თითქო ქვესკნელიდან ამოძერენო, ისე მოულოდნელათ და სწრაფათ მიიპყრეს ქვეყნიერების ყურადღება და მით ხმამაღლა გვამცნეს თავისი ვინაობა. იმათ ფეხი შეაბიჯეს მსოფლიო ისტორიაში, მარა შეაბიჯეს არა ნელა, ზანტათ და მოკრძალებით, არამედ დიდი რიხით და თავმოწონებით. ჩვენც ვართ ქვეყანაზეო—დაიძახეს მათ და ეს ხმა მოისმა კიდით კიდემდე, მოეფინა ზღვა და ხმელეთს. დიახ, დაიძახეს, ახმაურდენ, და განა ეს უბრალო სიტყვებით, ტრაბახობით და თავის თავის ქებათა-ქებით? არა, ბურებს ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავთ ამისთვის, ერთი კაციც არ დაუქირავებიათ, გვაქეო, ერთი გროშიც არ გაუცია თ, თანაგრძნობა მოგვყიდეო. ბურებმა თავისი ყოფნა საქმით დაამტკიცეს, თავისი არსებობა საკუთარი ძალ-ღონით დაასაბუთეს. ამ თავის გამოჩენის საქმეს სხვა და სხვა ერ, უეჭველია, სხვა და სხვნაირათ აწარმოებს, მაგრამ ყველასათვის კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რამ არის აუცილებელი: საჭიროა დიდი საქმე, რომ დასანახავზე გამოვიდეს და თანამედროვე ერთა შორის სათანადო ადგილი დაიჭიროს. ამას კი ვერც ერთი ხალხი ვერ შეასრულებს მანამდის, სანამდის ის თავჩაქინდრული, დაშინებული და დაუძლურებულია. ბურები სწორეთ იმით შეიქნენ ცნობილი, რომ მუხლი არ მოიდრიკეს ძლიერის წინაშე; უძლურება უარყვეს იქ, სადაც ძალა იყო საჭირო, შიში დაივიწყეს იქ, სადაც გულადობა იყო საჭირო, ფარ-ხმალი გამოიყენეს იქ, სადაც ბრძოლა იყო საჭირო. და აი ეს არის მათი დიდი საქმე, ამით გამოვიდენ მსოფლიო ასპარეზზე.

რა მოხდა ასეთი? რა მოიმოქმედეს ბურებმა? რა და ეს ერთი მუჭა ხალხი ებრძვის ევროპის უძლიერეს სამეფოს, ეს პაწია ტრანსვაალი ეომება დიდ ბრიტანიას. და არა მარტო ებრძვის, სისხლს ღვრის, არამედ კიდევაც ამარცხებს, მოსეულ მტერთ მამაცურათ იგერებს. ინგლისელი სარდლის, ბულერის, უკანასკნელი დამარცხება არის უდიდესი დამარცხება, რომლის მზგავსი ინგლისს დიდიხანია არ განუცდია. ამბობენ: ბურები იგებენ იმიტომ რომ მათი ქვეყანა მთა-გორიანიაო. არ ავხირდები, უეჭველია ეს ხელს უწყობს მათ გამარჯვებას. ამბობენ: ბურები იგებენ იმიტომ, რომ მათ ძლიერი არტილერია ჰყავთო. უეჭველია, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მარა ამასთან ერთათ, ამის გვერდით არის ის, რაც ხელით არ შეეხება, თვალით არ დაინახება, ფეხით არ მოიშინჯება და რაც შეიცავს ბურების მთავარ ძალას, ეს გახლავს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. ბური იცავს თავის მიწა-წყალს, თავის კერას, თავის სამშობლოს. ის ინგლისს არაფერს არ ართმევს, მას ართმევენ ყველაფერს; მას ინგლისის ერთი არშინი მიწაც არ უნდა, მას უნდა მხოლოთ ის, რაც აქვს და რასაც ახლა არ ანებებენ. თითოეული ბური ნათლათ ხედავს იმას, თუ რისთვის იბრძვის ის; ერთი წაგებული ომი ნიშნავს მისი სახლ-კარის დაქცევას, მისი ცოლ-შვილის აკლებას. და განა ეს არ კმარა რომ თვით ლაჩარმაც კი ხელი გამოიღოს და თავი შესწიროს? ცხადია, ბური აქედან იკრეფს იმ ზნეობრივ ძლიერებას, რომელიც სუსტსაც კი გააძლიერებს და მშიშარს გააგულადებს. მეორე მხრით, ინგლისელი მეომარი სრულებით ვერ ხედავს ნათლათ იმას, თუ რატომ გადმოიარა ზღვა-ოკეანენები და ამ ცხელ ქვეყანაში იბრძვის. მას უთხრეს, ბურებმა რაღაც უფლებები არ მოგვანიჭა მათ ქვეყანაში და უნდა დავსაჯოთო. შეიძლება ამ უფლებების მოთხოვაში ინგლისი მართალი იყოს, შეიძლება ბურები ავიწროებდენ ტრანსვაალელ ინგლისელთ, მარა ინგლისის ჯარის კაცი ვერც ერთ ამას ვერ ხედავს და მაშასადამე ბურების ქვეყნის ჰკლებაში ის დარწმუნებული არ არის, რომ კანონიერ საქმეს შვრება. ბური თავის ადამიანურ უფლებაშია, როცა ის სამშობლოს იცავს. ასეთ უფლებებში იქნებოდა ინგლისელიც, რომ ისიც თავის სამშობლოს იცავდეს. მარა ის თავის სამშობლოს კი არ იცავს, პირიქით, ის ავიწროებს სხვის სამშობლოს, ის სპობს მთელ ერს, და მერე რატომ? იმიტომ რომ მან რაღაც რეფორმები არ შემოიღოვო! ცხადია, ინგლისელი მეომარი სრულებით არ არის დარწმუნებული თავის მოქმედების კანონიერობაში. მაშასადამე მას ავაჟკაცებს არა რაიმე ზნეობრივი ძალა, არამედ უფროსის ბრძანება. ხოლო ვაჟკაცობა ბრძანებით ვერაფერი თავდებია ბრძოლის მოგების.

ამ ნაირათ, დღევანდელ ტრანსვაალის ომში ინგლისელი იბრძვის როგორც დაქირავებული კაცი, ხოლო ბური – როგორც თავის ნებით გამოსული. პირველი ვერ არის დარწმუნებული თავის სიმართლეში და ამიტომ მას არც რაიმე ზნეობრივი ძალა ამოქმედებს; მეორე კი დარწმუნებულია თავის სამართლიანობაში და ეს არის იმავე დროს დაუშრეტელი წყარო მისი გულადობის და ყოჩაღობისა. აი რას წერს ბურების მთავარ სარდალი, ჟუბერი, ერთ თავის წერილში: ,,რა ვუყოთ, რომ ინგლისი 40 მილიონ მცხოვრებს შეიცავს, თუ კი მას 80 ათასი ჯარის მეტი გამოგზავნა არ შეუძლია? ჩვენ, ბურები, სულ 170 ათასი ვართ და ამათში 50 ათასი უკვე ბრძოლის ველზეა". აშკარაა, ტრანსვაალში ქუდზე კაცი გამოსულა და ეს შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა მთელ ერს გადაწყვეტილი აქვს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო". ერის ასეთი ალფრთოვანება და თავგანწირულობა იშვიათია ისტორიაში. და აი ამ იშვიათ სანახაობას ვხედავთ დღეს აფრიკაში.

მარა სიმპატია ბურებისადმი სრულებით არ მოითხოვს სიძულვილს ინგლისელთადმი. ბურებს თანავუგრძნობთ იმიტომ, რომ ის პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს. ინგლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანაგრძნობოა მრავალნაირათ. ინგლისი ეს აკვანია ყოველივე იმის, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას. პირველათ მან აიღო ხმალი თვისი შინაგანი უსამართლობის და ძალმომრეობის წინაამდეგ. პირველათ მან დაიარსა ის წყობილება, რომელიც რამდენსამე საუკუნეს შემდეგ ევროპაში გაბატონდა. პირველათ მან განახორციელა პრინციპი სრული თავისუფლებისა, საითკენაც ამათ ილტვის დანარჩენი კაცობრიობა. პირველათ ინგლისმა განავითარა ის ეკონომიური ურთი-ერთობა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც ქვეყანა იხსნა ძველი დახავსებული მდგომარეობისაგან და დაამყარა ახალი. მან გააპო ზღვა და ხმელი, მივიდა მიუვალ ალაგას, აღმოაჩინა აღმოუჩენელი ქვეყნები, დაასახლა ველური ადგილები, გაიყვანა გზატკეცილები, რკინის გზები და არხები, შეიტანა თვით შავ ხალხთა შორისაც ევროპიული მეცნიერება და ხელოვნება. პირველათ ინგლისმა გააკეთა რკინის გზა, ტელეგრაფი, ხოლო მისმა მოძმემ (ამერიკელ ინგლისელმა) ტელეფონი და ელექტრონი და ყველა ეს შეძლო ვინ?—პატარა ქვეყანამ, ერთი კუნძულის მესამედმა! ხუთ მილიონ ინგლისელმა (1700 წლის აღრიცხვით) წარმოშობა დღეს ორას მილიონამდის ინგლისელი გაბნეული მთელ ქვეყანაზე! ინგლისურათ ლაპარაკობენ ამერიკაში, ინგლისურათ ლაპარაკობენ ავსტრალიაში, სამხრეთ და ჩრდილო-აფრიკაში და მრავალ კუნძულეზე. ინგლისმა მოგვცა შესანიშნავი დრამატურგი შექსპირი, ადმირალი ნელსონი, მეცნიერი დარვინი და თვით მარქსმა თავისი კლასიკური თხზულება ინგლისის ცხოვრებაზე ააგო. ერთი სიტყვით, ინგლისს უჭირავს ხელში კაცობრიობის დროშა და უარყოფა ინგლისის მოასწავებს ამ დროშის უარყოფას. მეტყვიან: ინგლისი ეგოისტია, თავის ინტერესების მაძიებელია და ამ ეგოისტობით გააკეთა ყველა ესო. დიახ, ინგლისი ეგოისტია, მარა რომელი ერი არ არის ეგოისტი? ეგოისტია ყველა, თავის სარგებლობას ეძებს ყველა და ვაი იმ ერს, რომელსაც ეს ვერ შეუგნია და სხვის სათრევლათ გადაქცეულა. მხოლოთ თავმოყვარე ერს შეუძლია დიდი რამის შესრულება და სწორეთ ასეთი ერია—ერი ინგლისისა. მას შეგნებული აქვს თავისი ვინაობა, თავისი ძალა და მოწოდება და სწორეთ ამით არის ის დიადი, სწორეთ ამით არის ის კაცობრიობის წინამორბედი.

დეე, ბურებმა დაიფარონ თავისი პაწია სამშობლო, მტლათ დაედვან თავისუფლებას. ამით ისინი აღმართევენ ხელთუქმნელ ძეგლს მოწინავე ერთა გულში, ამით ისინი სამუდამოთ მოიპოვებენ სიყვარულს და თანაგრძნობას. მარა, დეე, ამასთანავე ინგლისი დარჩეს დიდებულ ინგლისათ, ახალი ცხოვრების მოციქულათ და ახალი დროშის მატარებლათ. დეე, ის იყოს ცივილიზაციის მეთაურათ და მებაირაღტრეთ...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

პეტერბურღიდან ფოთის ქალაქის მოურავს დეპეშა მოსვლია: სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა გზათა სამინისტროს პროექტი ფოთის ნავთსადგურის შესავლის გადაკეთების შესახებ. ამ საქმისათვის საჭიროა ოთხი მილიონი მანეთი; ხოლო ამ ფულის ერთი ნაწილი ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ უნდა გადიხადოსო.

—

ქართველ მემამულეთა პარიზის გამოფენის კომიტეტს მოუვიდა პარიზის გამოფენის რუსულ განყოფილებიდან ქაღალდი, რაც შეიძლება ჩქარა გამოგვიგზავნეთ დაწვრილებითი ცნობები იმ ნივთების შესახებ, რომლებსაც გამოფენისათვის ამზადებთო.

—

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ დაბა ხონში გაიხსნა მარიამის საქალებო სასწავლებელი, პროგიმნაზიის კურსით. მოსწავლეთა რიცხვი უკვე 220 მდეა. ახლა საერო განათლების სამინისტროს ნება დაურთავს, რომ ამ სასწავლებელში შემოღებული იქმნას ქართული ენის სწავლება.

—

თფილისის ბანკის დამფუძნებელი წევრნი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს უცხადებენ: 1 იმ ფულს, რომელიც ჩვენ უმაღლესი ბრძანებით გვიბრუნდება ბანკიდან, სრულიად ვწირავთ სათავად-აზნაურო ხაზინას, რომ ამ ფულიდან შედგეს სათავნო და მისი სარგებლით იზრდებოდენ ჩვენი შვილები. 2) ვიდრე თავად-აზნაურთა კრება გასწერდეს ფულს თავად-აზნაურთა ხაზინის შესადგენათ, დაბრუნებული ფული მიეცეს სესხათ % თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას, რათა სარგებელი ან ჩვენი შვილების აღზრდას მოხმარდეს ან მიემატოს სათავნოს. 3) თუ ორი წლის განმავლობაში გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება არ დაარსდეს, ეს ფული გადაეცეს თავად-აზნაურთა საზოგადოებას ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლათ. უკეთუ ეს საზოგადოება მოისპოს, ფული ჩვენვე დაგვიბრუნდეს ისევ სწავლა-განათლებისათვისო.

—

მკითხველებს ეხსომებათ ბანკის დირექტორის პავ. ყიფიანის საქმე, რომელმაც ორმოცი ათას მანეთამდე ღირებული საგირავნო ფურცლები მიისაკუთრა და გაჰქრა. ნასირბეგოვმა, რომელსაც ეს საგირავნო ფურცლები ეკუთვნოდა, ყიფიანის საზღვარ გარეთ წასვლის გამო, მიმართა ბანკს და პასუხათ მიიღო: ვერ დაგაკმაყოფილებთ, რადგანაც შენ და ყიფიანს შორის კერძო გარიგება არის მომხდარიო. ნასირბეგოვმა საქმე სასამართლოში გადიტანა. ბანკის ვექილი ჩემესოვი ამტკიცებდა: მომჩივანთან ყიფიანს პირობა შეუკრავს, როგორც კერძო პირს და არა როგორც ბანკის აგენტს, ამიტომ ითხოვდა საჩივრის უყურადღებოთ დატოვებას. ნასირბეგოვის ინტერე-

864 ‹‹ ‹ ‹

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა ეს კეთილი აზრი აზრათვე რჩებოდა. ახლა-კი იმედია მალე ველირსებით ეკლესიის აგებას. სადგურის მღვდელი მამა ესტატე მირიანაშვილის მეცადინეობით შემდგარი კომიტეტი დიდათ ცდილობს ამ საგნის შესახებ. სასურველია რომ ამ კეთილ საქმისათვის აქაურები არ დაიშურებდენ თითო—ოროლ გროშს. არიან ისეთი პირნი, რომელიც ეკლესიის სასარგებლოთ ერთ გროშს არ იმეტებენ და დუქნებში კი ათ და მეტ მანეთებს ხარჯავენ. განა ეს სარცხვილი არ არის? არის მაგრამ... მახლას!.. განა მარტო ეს არის? კიდევ დარჩა შემდეგისათვისაც

განჯელი მეთვალყურე.

—

ზემო ავჭალა. მკითხველთ მოეხსენებათ, რომ ს. ზემო-ავჭალა, ეს რამდენიმე ხანია, მოკლებულია წირვა-ლოცვას უეკლესიობის გამო... ახალი ეკლესიის აგებისათვის შემდგარია მზრუნველობა, რომელიც მეცადინეობს გამონახოს წყარო და ააგოს ახალი ეკლესია სკოლითურთ 633 მანეთი, თითო ორ ორი გროშობით მოგროვილი და 70 მანათი საეკკლესიო ფული—სულ 703 მანეთი, ინახება თფილისის სახელმწიფო შემნახველ კასაში, რომლის დაბნევა და დაკარგვა იქეს გარეშეა .. გარდა ამისა, შენობათა გეგმა და პროექტი წარდგენილია დასამტკიცებლათ უწმინდეს სინოდში, საიდანაც უეჭველათ მოველით 2000 მანეთის შემწეობას. 1000 მანეთი პირობის ძალით სოფელმა უნდა გაიღოს; იმედია რამოდენიმე ას მანეთს კიდევ შევაგროვებთ გაზაფხულამდის, ხოლო გაზაფხულზე კი შევუდგებით დიდი ხნის ნანატრი საქმის განხორციელებას... მხოლოთ საქმე იმაშია: სად უნდა იქნეს აგებული ეკლისია და სკოლა?.. სოფელს ისევ ძველ ეკლესიასთან სურს ახლის აგება, რადგან მკითხავს უთქვამს: „იოანე ნათლისმცემელი ძლიერ ჯურება ძველი ადგილიდან დაძვრას და წრევანდელი სეტყვაც იმან მოავლინაო“!.. ხოლო ძველი ადგილი ყოვლად უხერხული და გამოუდეგარია სკოლისთვის მაინც, რადგან მცხოვრებთა სახლებს შუა არის მოკრუნჩხული, და თავის დღეში არ ექნება სკოლას საშუალება გაიშენოს ბაღი ანუ ბოსტანი, რომელიც სკოლის უპირველეს ღირსებას შეადგენს... გარდა ამისა მდინარე ტკვარი ულმობელათ არღვევს მიწას და ძველი ეკლესიაც ლამის შიგ ჩაგორდეს... მეორე ადგილი სოფლის სასაფლაოსთან არის; მარა ეს ხომ ყველამ იცის თუ რამდენათ მავნებელია მოზარდ ყრმათათვის სასაფლაოზე ცხოვრება!.. მესამე ადგილი მოთავსებულია რკინის გზის პირად, რომელიც ერთი შეხედვით თუმცაღა პატარა, მარა იმდენი კია, რომ შენობა დაეტევა და კიდევ ბავშების მისაელელ-მოსავლელი ადგილი დარჩება. როცა ხალხი დაინახავს სკოლასთან ადგილის საჭიროებას, მაშინ რამდენიც დაჭირდება, იმდენი მოემატება ორი მხრიდან და, თუ დაჭირდა, მესამე მხრიდანაც. უკეთესი ადგილი, უნდა ვთქვათ, მთელ სოფელში არ არის. ეს ადგილი ბ-ნმა მირზოევმა შესწირა სოფელს და მასთან ფულიც... სასულიერო მთავრობაც ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამ მესამე ადგილისა, გაითვალისწინა რა ყოველივე ის, რაც ზემორე აღვნიშნე; ხალხიც თანხმობის ქაღალდზე ხელს აწერდა და, ის იყო, ადგილი უნდა კურთხეულიყო, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მეორე მკითხავი, პირველზე გაცილებით უფრო ეშმაკისაგან შეპყრობილი, და შესძახა ხალხს: „მომავლინებელი ჩემი გაუწყებთ ჩემი პირით, რომ თქვენ დღეს ტყუვდებით და იღუპებით! ყველა ესენი თავის სარგებლობისთვის ზრუნავენ; არ დაუჯეროთ! მე მომანდეთ ეს საქმე და ორი კვირის განმავალობაში მოვძებნი შვენიერ საეკლესიო და სასკოლე ადაგსო!...“ ცრუმორწმუნე ხალხზე ქურუმის სიტყვამ გავლენა იქონია, და საქმე მართლა ჩაიშალა, თუ სამუდამოთ არა, დროებით მაინც... მკითხავი კი იქვე იკვეხიდა: ,,ჩემი საწადელი ის არის, რომ, ყოველი კეთილი განზრახვა, ასისა და ორასისა უკუღმა დავაბრუნოვო“. ,,ვაი შენ, მწიგნობარო და ფარისეველო, ორგულო!“

დასასრულ ურიცხვ მადლობას ვწირავთ ყველა შემომწირველთ და სულით და გულით თანამგრძნობელთ ამ ყოვლად კეთილ საქმეში.

სამზრუნველოს წევრი.

კვირიდან კვირამდე

„სლივკი“ საზოგადოებისა — ჭკა მაგას.— თექვსმეტი საათი „გოლოვინსკის „პროსპექტზე“. - უსაქმურთა „პეტრეუტომდენიე“. - „რევიზორი“ ქიზიუში.

Qართველების გულუხვობა რომ ყველასავან ცნობილია, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. აი, ერთი ამისი მაგალითიც: ბაქოელ ქართველებს გადაუწყვეტიათ ქართული სამკითხველო სომხეთა საზოგადოებას მივუძღვნათო — სახსოვრათ ჩვენი უსაქმურობისო, რასაკვირველია. თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ სამკითხველო ხომ საალავერდო ყანწი არ არი, რომ ასე ადვილათ გამოიმეტოს კაცმაო? დიახ, არა არის, მაგრამ საქმეც იმაშია, თუ სადამდის მისულა ბაქოელ ქართველთა საქმიანობა. და იცით მერე ვინ ედგა სათავეში ამ საქმეს? სულ რჩეულ-რჩეული ქართველები, „სლივკიო“ რომ იტყვიან სწორეთ ისინი; —აქ არიან: ექიმი, კაპიტალისტი, მოსამართლე, ბან-

კირი (ეს იყო, ახლა აღარ არის), სულ ტუზები, ზოგი ფულით, ზოგი ჩინით და ფულით ერთათ. დიახ, კარტში ათასი თუმნების წაგება (და ისიც სხვისი!) უფრო ადვილი ყოფილა, ვინემ ორიოდე წიგნის პატრონობა.

* * *

და არც ცხინვალის ბიბლიოთეკა ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში! უკეთესს ვინლა ჩივის, ნატამალიც რომ იყოს. ჰკა მაგასო! უკრიალიათ ერთბაშათ და შეცვივნულან სამკითხველოში. დაუტაცნიათ წიგნები, ჟურნალები, გაზეთები—აქ გდებას ის არ ჯობია სახლი დაგვიშვენოსო? რაღაც თორმეტიოდე ჩალის სკამი ჰქონია სამკითხველოს და ისიც ერთს უფრო მკლავ ღონიერს მოუგდია ზურგზე და შინისკენ უკრავს თავი, (ეს უფრო ხელ საყრელია ი რაღაც ფარატინა ქაღალდებზეო), დანარჩენები თითონ შენობას უვლიან, ზოგი კარს აძრობს და ზოგი ფანჯარას. არ დარჩენილა თურმე ცხინვალში არავინ, თუ არ დაერდომილი, რომ წაღავლი არა ეშოვოს-რა. თოვლი ჩამოყარა თუ არა, საძირკველს შეუგდეს თურმე ბარები, და ზოგიც ბანზე მოექცა ყავარ-ფინის ასაგლეჯათ. სამკითხველოს წესდების ერთ-ერთი მუხლი კი შემდეგს ამბობს: „უკეთუ რაიმე მიზეზის გამო დაიკეტოს სამკითხველო, ნივთები, წიგნები თუ სხვა რამ ავეჯი გაიყიდოს და ფული ჩაბარდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაო“. მაგრამ, თუ ჩვენი ნაფიც-უფიცი ვექილებიც დამეთანხმებიან, ამ მუხლს ეხლა ძალა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ბიბლიოთეკა როგორ დაიკეტება, როცა არც კარი შეარჩინეს და არც ფანჯარა, და ასე ძირ გამოთხრილი სამკითხველო განისვენებს ცხინვალში, ცხინვალელთა სანუგეშოთ!

თ უ რ ქ მ ა ნ ე ბ ი.

* * *

ძირს უთხრის რობიც თავის ქვეშევრდომთა ჯან-მთელობას.—რომელ საათზე იწყებ მუშაობას?—ვკითხე რობის ერთ ქვეშევრდომს, რომელიც „გალავინსკის პროსპექტზე“ დგას და „კონკების“ მიმოსვლას აწესრიგებს.—დილის შვიდ საათზე, მომიგო მან.—რომელ საათზე გცვლიან? შევეკითხე მე.—არც რომელზე,—იყო პასუხი. მაშ დილის შვიდ საათიდან ღამის თერთმეტ საათამდე ამ ცის ქვეშ დგეხარ, გაწვიმს და გათოვს? ამაზე უფრო სასეირო ქუჩა მთელ თფილისში არ მოიძებნება და მეც გულს ვაყოლებ, ვერთობი—მწარე ღიმილით მომიგო მან და ზედ დაუმატა—რა ვქნა, ცხოვრება რომ მინდა! დიახ, რობისთვის გზის კონცესიასთან ერთად მუშების კონცესიაც მიუციათ, ორივეს ერთად აძრობს ტყავს იმ განსხვავებით, რომ რელსებს არა დააკლდება რა ამით, ხოლო ადამიანებს კი... არც ამათ დააკლდებათ რა გარდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისა...

* * *

სამაგიეროთ კონცესიის გამცემნი კი მხიარულათ განისვენებენ. ხანდახან ესენიც გადაგვაურჩევენ, ჩვენც ვმუშაობთო, მაგრამ სინამდვილე კი სულ სხვა გვეუბნება. აი მაგ. წარსულ კვირას, საბჭოში შეიკრიბნენ, მოურავს თავი დაუკრეს, ერთმანეთი მოიკითხეს და... უჩინარ იქმნენ. მიიხედ მოიხედა საბჭოს მდივანმა, ნახა დარბაზი ცალიერია. მოხსენდა ამბავი მოურავს, აფრინეს მდევარნი, მაგრამ ამაოთ—ხმოსანთა ნაკვალევიც კი ვერსად ჰპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს.—მარტოთ-მარტოთ დარჩენილმა ქალაქის თავმა ბევრი იმტვრია თავი ამ უცნაური მოვლენის ასახსნელათ და ბოლოს, როგორც იყო, გამოარკვია მიზეზი. თურმე დარბაზის საათი საათ ნახევრით თუ ორით წინ ყოფილა, ასე რომ, ათი საათის მაგივრათ ხმოსნებისთვის თორმეტი უჩვენებია; ხმოსნებსაც გულები დახეთქიათ, ამდენ შრომით გულის „პერეუტომლენიე" არ მოგვივიდესო და უდურთავსთ შინისკენ.

* * *

ამდენ უსიამოვნო ამბებთან, ერთ მეტათ სასიამოვნო ამბავსაც მოგახსენებთ, და ისოდეთ ეს გოგოლის რევიზორიდან ამოღებული არ გეგონოთ. ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ერთ მივარდნილ კუთხეში, სადაც მრავალზე უმრავლესი მშვიდი და უწყინარი დიდყურა ცხოველები „კუნტრუშობენ", სამახარობლო ფირმანი მოვიდა: მანდ მოდის ბ. მარ—ვიო. ამ ამბავმა შესძრა მთელი კუთხე, ეს უთუოთ „ფანტაზიაში" ნაქები სტუმარია და არა ჩვენი ექიმოთ ჯაბანიო. საუბედუროთ, ამ კუთხის სატახტო ქალაქში, ძალიან ცოტა ქართველობაა, და ამიტომ სოფლებში აფრინეს შიკრიკები, აბა ვინცა ხართ, აქ მოგროვდითო. დანიშნულ დღეზე მოვიდა მთელი სოფლის ინტელიგენცია, ერთი ახალ-გაზდა ექიმის მეთაურობით და მასპინძლისას დაბანავდენ. ზოგი „რეჩს" ამზადებს, ზოგი ლექსსა სწავლობს ზეპირათ, ზოგი ნაციონალურ ტანისამოსს ეძებს, ხოლო მასპინძელი კი სამზარეულოში ტრიალებს. და აი, კიდევაც მოიჭრა ცხენოსანი: დიდი სტუმარი მობრძანდაო. მაშინვე „პარადში" გამოეწყო დეპუტაცია და წარდგა სტუმრის წინაშე: ბედნიერათ ვრაცხ ჩემ თავს რომ თქვენი მობრძანებით საქართველოს ეს ნაწილი გააბედნიერეთ, გთხოვთ იკადროთ და ქართველური პურ-მარილი ჩემსას იგემოთო. სტუმარი გაკვირვებულია, ნუ თუ მე ის ვარ, რაც ვარ, არა, უთუოთ სხვა ვინმე უნდა ვეგონოთო და შევიდა ოთახში. მასპინძლისას დიდძალი საზოგადოება დახვდა; დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა მასთან გამოლაპარაკებას მეცადინეობს.—მე თქვენი ძმის შეყვარდი ვიყავი—მოახსენა ერთმა;—მე და თქვენმა ძმისშვილმა ერთათ გავათავეთ უმაღლესი სასწავლებელი, შესცილა მეორე.—ნება მომეცით, დიდებულო მოღვაწევ, მოგმართოთ მოკლე სიტყვით, დაიწყო მესამემ. ახლა კი ვეღარ მოითმინა სტუმარმა და „მერეჩეებს" მოახსენა: მე არც ძმა მყავს და არც ძმის შვილი, უკაცრავათ, მარა თქვენ მგონი შეგეშალათ, მე ის არა ვარ, ვინც გგონიათ, მე მხოლოთ ისი მეგვარე ვარო!.. ყველას ენა მუცელში ჩაუვარდა და. . .

გ—ო.

ჩვენი სახიობა.

ამ თვის 16, ქართულ თეატრში ქ-ნ ჩერქეზიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქმნა „ერთი შემთხვევა", სცენები ჩვენი ცხოვრებიდან გ. ქურულისა და „სამოცი წლის არშიყი" ვოდევილი თვით მობენეფისისა. პირველ პიესას არ შემიძლია ხელოვნური ნაწარმოები ვუწოდო. ის არ არის დრამა, არ არის კომედია, არ არის ვოდევილი! თვით ავტორსაც კარგათ შეუმჩნევია ეს და ამიტომ დაურქმევია სცენები, მაგრამ მიკვირს: რაღათ მიუმატებია „ჩვენი ცხოვრებიდან"? ნუ თუ მარტო ქართული სახელებია საკმარისი, რომ პიესას ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული ვუწოდოთ? მაგრამ გადავიდეთ თვით პიესის შინაარსზე.

ქვრივ კნ. დარია აბდუშაფარიძისას ჰყავს გასათხოვარი ქალი ტასო, რომელსაც უყვარს ღარიბი ნასტუდენტარი, კოტე მარაძე. კნ. დარია ვალებით არის ყელამდე სავსე და ამიტომ ცდილობს, მდიდარი სასიძო იშოვნოს; კოტე მარაძე კი, გარდა იმისა რომ ღარიბია, უგვაროც არის, ე. ი. თავადი არ არის; ამიტომაც ეუბნება ქვრივი კნეინა თავის ქალიშვილს: —უმალ ჩემი საფლავი იხილე და შემდეგ კოტე შეირთეო. კნეინას ხელში მიაჩეჩებენ მდიდარ სასიძოთ თავ. მიხეილ ბჟუტაძეს, ბჟუტაძეც მოწადინებულია ტასოს შერთვას, რადგანაც მოვალეები ახრჩობენ და ტასო კი დიდი მზითვიანი ჰგონია. ტასო ემორჩილება დედის თხოვნას, იკლავს გულში კოტესადმი სიყვარულს და, როდესაც ბჟუტაძე მეუღლეობას თხოვს, თანხმობას უცხადებს. მაგრამ ზანტიანცის წყალობით, რომლის ფულებიც კნ. დარიას მართებს, ბჟუტაძე შეიტყობს, რომ ტასოს ვალის გარდა არავითარი მზითევი არა აქვს და ამიტომ ზანტიანცისავე რჩევით ტასოს დედის წინაშე უარს უცხადებს. სწორეთ ამდროს ჩამოვა რუსეთიდან ტასოს ძმა, სტუდენტი ლევანი, და მიხეილ ბჟუტაძეს დუელში იწვევს დის შეურაცხყოფისათვის. ლევანი დუელში მცირეოდნათ იჭრება, ბჟუტაძეს იჭერენ და პიესა ინგლისურ გემოვნებაზე ბოლოვდება—ბედნიერებით. ტასომ კოტე უნდა შეირთოს, ლევანმაც თავისი ნინო, ტასოს მეგობარი. ეს გახლავსთ პიესა ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ის ჩვენი ცხოვრებიდან იყოს,—იმიტომ რომ ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი შიგ ძალიან ცოტაა და რაც არის, ისიც ერთობ სუსტათ, ძალიან მკრთალათ არის დახატული. წარმოიდგინეთ სომხის ტიპი, რომელიც ასე საუცხოვოთ არის დახასიათებული ჩვენ ბელლეტრისტიკაში, და რომელიც ავტორმა ზანტიანცის სახით წარმოგვიდგინა, გარდა

იმისა, რომ სუსტათ არის გამოყვანილი, რეალურს არ წააგავს, და აბაშიძის საუცხოვო თამაშს რომ არა, სრულიად უფერულათ ჩაივლიდა. მომქმედ პირთა სისუსტე თუ აბაშიძემაც ვერ დამალა, რაღა უნდა ითქვას დანარჩენ არტისტებზე? საუცხოვო იყო ქ. ტასო აბაშიძე ნინოს როლში. მისი ცოცხალი თამაში, მოხდენილი მიხვრა მოხვრა, სცენიური თავდაჭერილობა სულს უდგამდა პიესას და შნოს აძლევდა ზოგიერთ მსახიობთა უფერულ თამაშსაც. კარგი იყო დარიას როლში ქ. გაბუნია-ცაგარლისა, მაგრამ მან ვერ დაგვიხატა ჩვენებური ძველი კნეინის ტიპი, რადგანაც თვით პიესაში არ არსებობდა ასეთი ტიპი: კარგათ ასრულებდა ბ. ყიფიანიც მღვდლის როლს. ბ. მესხისა და განსაკუთრებით ქ. ნებიერიძის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ქ. ნებიერიძეს სცენა სუსტათა აქვს შესწავლილი: თუ დაჯდა, აღარ ადგება, თუ ადგა და—ერთ ალაგს აღარ მოცილდება. მართალია, ტასო პიესაში სუსტი ხასიათის, მჩვარ ბუნების და საკუთარი მე-ს არ მქონე ქალს წარმოადგენს, მაგრამ მას აქვს ნერვები, მასა აქვს გული, მისი გულის მოძრაობა, მისი ტანჯვა კი ნებიერიძისამ ვერ დაგვიხატა; მან ვერ ჩაგვახედა ამ სუსტი არსების სულში, ვერ დაგვანახვა მისი ბრძოლა და ტანჯვა, ვერ აღგვიძრა მცირეოდენი სიბრალულიც კი ამ პირისადმი.

ტასოს უყვარს მარაძე; დედა კი ურჩევს, ძალას კი არ ატანს, ურჩევს, შეირთე ბჟუტაძე და გვიხსენი დალუპვისაგანო; ტასო იხშობს მარაძესადმი სიყვარულს, მიჰყვება ბჟუტაძეს, მაგრამ შეუძლებელია ის ამდროს არ ებრძოდეს თავის გულს, შეუძლებელია არ იტანჯებოდეს, ეს სულის მოძრაობა კი ქ. ნებიერიძისამ ვერ დაგვანახვა, შინაგან მღელვარებას ის მხოლოთ სახის გრეხით ხატავდა; ბ. მესხი ხომ სულ არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო: მას არ ეტყობოდა, თუ ტასო უყვარდა, როდესაც ის ტასოსთან მარტო იყო ხოლმე, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ძალათი უნდათ შეაყვარონ ტასო და ის კი ფიქრობს, რა მოვაგვარო, რომ ხელიდან დავუძვრეო. სცენაზე ისიც მოუხეშავი იყო; უფრო იმიტომ რომ როლი სუსტათ იცოდა და ამის გამო სუფლიორის წინ დგომა ძალიან უყვარდა.

ავტორს უკანასკნელი ღონე ეხმარა, რომ მაყურებელი გაეცინებია: იმ დროს როცა დუელია დანიშნული და ორი მოპირდაპირე ერთიმეორის მოსაკლავათ არიან გამზადებული ტყეში, ავტორი გამოახტუნებს ტეტიასა და მის ცოლს. მართალია მაყურებელს ეცინება, მაგრამ მის გასაცინებლათ ძალიან შეუფერებელი მომენტი აქვს ავტორს აყვანილი.

ქ. ჩერქეზიშვილისას პირველ პიესაში თითქმის არავითარი როლი არა ჰქონდა, სამაგიეროთ ის უმთავრესი პირი იყო მისსავე ვოდევილში, „სამოცი წლის არშიყში". ვოდევილი მცირეოდნათ ბიძიასთან გამოხუმრებას წააგავს. ავტორს კარგათ ჰქონდა დახატული ბოქაულათ ნამყოფი ჭიმიაძე და მისი მწერალი მახარაძე, რომელიც მუდამ შეზარხოშებული ან მთვრალი იყო. მაყურებელნი უფრო ნასიამოვნები დარჩენ ამ ვოდევილით, ხოლო ქ. ჩერქეზიშვილისამ თავისი მეტამორფოზა იმდენათ გაიჭიანურა, რომ ყველას მოწყინდა. გედევანოვი, შათირიშვილი და თვით მობენეფისე ვოდევილში შვენიერით თამაშობდენ, განსაკუთრებით საუცხოვო იყო შათირიშვილი, თვითეული მისი მოძრაობა და სიტყვა დიდ ხარხარს იწვევდა. ერთი დიდი ნაკლი, —როლების უცოდინარობა— ჩვენ არტისტებს სწორეთ დანათლიავებული აქვსთ. გარდა ქ. ჩერქეზიშვილისა და ტასო აბაშიძისა თავისი როლი არავინ არ იცოდა კარგათ, ბ. მესხი ხომ ხშირათ იმას ამბობდა, რაც პიესაში არ იყო. ხალხი ბლომათ იყო, თუმცა თეატრი სავსე არ ყოფილა. ქ. ჩერქეზიშვილისამ რამოდენიმე საჩუქარი მიიღო.

სტუმარი.

*
* *

აშრა ზღვა ოცნებისა,
ქუხილისებრ მგრგვინავი,
ხან ნარნარით აღგზნილი
მაღლა ცაში მფრინავი!
ხელი მკრა მან, ვინც ერთხელ
სიცოცხლისთვის მაფიცა,
და უარ-ვყავ მეც სატრფო,
ჩემი სულის მაფიცა!..
უსულ-გულო სიცოცხლე,
აზედივით დამჭკნარი,
გულს მიღადრავს... უარ ვყავ..
და ვარ, ვით ცოცხალ მკვდარი!..
მარა, თუ კი ოდესმე
შევებრალები ბუნებას,
ხელს შემიწყობს,— მეც მყისვე
ავაფრთოვნებ ოცნებას...
ვგლეჯ სიცოცხლის ბეჭედი
მოწყლულს გულზე დამესმის...
„დიალ, დიალ!" —ჩურჩულით
საიდანღაც ხმა მესმის...

დ. თომაშვილი.

ველოსიპედით შემოვლა ქვეყნის გარშემო.

ამ ბოლოს დროს დოქტორმა დარვინ მილლერესმა და მისმა მეუღლემ მთელი ქვეყანა გააკვირვეს თავისი გასაოცარი მოგზაურობით: მთელი ქვეყნიერობა ველოსიპედით შემოიარეს და ამ მოგზაურობას სამ წელიწადზე მეტი მოანდომეს.

მოგზაურობა მათ დაიწყეს ამერიკიდან. 10 აპრილს 1895 წელს ისინი გაუდგნენ გზას ჩიკაგოდან დასავლეთით. გაიარეს ამერიკის დასავლეთი ნაწილი, შემდეგ ზღვით მოვიდნენ იაპონიაში და აქ ისევ ველოსიპედებით განაგრძეს თავისი მოგზაურობა. მათ თან ჰქონდათ ფოტოგრაფიული აპპარატი და გზაზე რაც კი მოეწონებოდათ, გადიღებდნენ ხოლმე. იაპონიიდან 18 მარტს 96 წელს ისინი გადმოვიდნენ ჩინეთში და მთელი ჩინეთი დაიარეს. ისინი ხშირად იყვნენ



ველოსიპედით შემოვლა ქვეყნის გარშემო.

განსაცდელში, ხშირათ ისეთ მივარდნილ და ყრუ კუთხეებში შეუხვდებოდათ ხოლმე მოგზაურობა, რომ ხალხი მათ ეშმაკებათ თვლიდა და მოკვლას უპირებდა, მაგრამ მათმა სიმხნევემ და გამბედაობამ ყოველგვარ გაჭირვებას სძლია. ჩინეთში ქ-ნი მილლერესი ხოლერით ავათ გახდა და კინაღამ არ შეიქნა ამ ავათმყოფობის მსხვერპლი. ჩინეთიდან მოგზაურნი გადმოვიდნენ ინდოეთში. ინდოეთი გაუჭირვებლივ დაიარეს, რადგანაც გზები კარგი იყო: იქიდან გადმოვიდნენ სპარსეთში, მაგრამ კინაღამ მკაცრი ბუნების მსხვერპლი გახდნენ: მათ უნდა გადაევლოთ თვალუწვდენელი მთა, რომელიც მუდამ თოვლით იყო დაფარული. მათ წინდაწინვე გაისტუმრეს თავისი თარჯიმანი, რომ ცხენები ეშოვნა და რამდენიმე კაცით მოშველებოდა, თვითონ კი უკან ჩამორჩნენ, რადგანაც თოვლში ველოსიპედებით ვერ ივლიდნენ, ფეხით სიარული კი ჩქარა არ შეეძლოთ. მათ დაალამდათ მთაში. საშინელი ყინვა დადგა, დაებნათ გზა და გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ; მაგრამ ასეთი გაჭირვების დროს მოუსწრო მათ წინდაწინვე გაგზავნილმა თარჯიმანმა და იხსნა სიკვდილისაგან. ქ-ნ მილლერესს მაინც ისე დაეძრა ფეხები, რომ რამდენიმე თითი წაუხდა. სპარსეთიდან ისინი მოვიდნენ ბაქოში, ბაქოდან ველოსიპედებით ბათუმში მოვიდნენ და აქედან მცირე აზიაში გასწიეს; დაათვალიერეს მცირე აზია, გადავიდნენ სტამბოლში; დაიარეს რუმინია, ავსტრია, უნგრეთი, გერმანია და აქედან გემით ამერიკაში დაბრუნდნენ. მთელი გზა მათ მხოლოთ 1200 მან. დაუჯდათ.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებანი ეგ. ნინოშვილისა.)

(დასასრული *)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. ნეკრასოვი.

XIII.

ქართველი ერი ნელანელა ვაჭრობას კიდებს ხელს; გაიხსნა ჩვენში ქარხნები; მათი რიცხვი ჯერ თუ ცოტაა, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ არ გამრავლდება. დაიწყო ნავთისა და ქვამარილის წარმოება, ქვანახშირის, ტყის, გაემრავლა იქითკენ ქართველი მუშა და ვაჭარი. ვისაც საკმაო მიწა აქვს ჯერჯერობით, ისიც კი ცდილობს, გარეთ მუშაობით იშოვნოს რამე; ვინც თანდათან ღარიბდება, იმას მეტი რაღა დარჩენია, თუ არ მუშათ გადაქცევა? ღარიბების რიცხვი კი თანდათან მატულობს. ამგვარ პირობებში კაპიტალიზმი სასურველიც არის, რადგანაც გაჭირვებულ ადამიანს საზრდოს გაუჩენს; შეიძლება, ეს საზრდო ძალიან მცირე იყოს, მაგრამ შიმშილით სიკვდილს მაინც აჯობებს. თუ ეკონომიურმა მიზეზებმა გლეხობა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, სამართლის ცუდათ წარმოებამ, გონების სიბნელემ და მრავალგვარმა უსამართლობამ უფრო გაამწვავა ხალხის მდგომარეობა. ჩვენ არ შეგვიძლია, ყოველივე ამის სათავეში მარტო ეკონომიური პირობები დავინახოთ, მაგრამ უსამართლო-

---

*) იხ. „კვალი“, № 50.

ბის უმეტესი წილი რომ ეკონომიურმა პირობებმა შექმნა, ეს აშკარაა: ეკონომიურმა მიზეზებმა დაბადეს ერთი მხრით დროიძე და მოსე მწერალი, მეორე მხრით ყველა ის პირები, რომელთა გაჭირვება და შევიწროება ნინოშვილმა დაგვანახვა: გლეხის სიღარიბე მისი მდიდარი მეზობლისათვის საუცხოვო საშუალებას წარმოადგენს გამდიდრებისათვის; გარდა ამისა მდიდარი გლეხი სამართლის კარზედაც ადვილათ ჩაგრავს თავის ღარიბ მოძმეს; დავით დროიძე რომ მდიდარი გლეხი არ იყოს, უსამართლობით ვერ დაღუპავდა სიმონას მთელ ოჯახს; დღეს ხშირათ სამართლის სასწორი იქით იწევს, საითაც ფულია; რადგანაც ფულის პატრონები დროიძეები არიან, რასაკვირველია, სოფლის მწერალ-მამასახლისები კი არა, იმაზე სხვილი მოხელეებიც მათი ჯიბის მეგობრები იქნებიან!

ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრებაში რაღა ცვლილება შეიტანა შეცვლილმა დრომ? არ შეიძლება იმ ფაქტის უარის ყოფა, რომ ბატონ-ყმობა ჩვენში ეკონომიურმა მიზეზებმა წარმოშობა.[1] ეკონომიურმა მიზეზებმა მოუჯინა ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია სავსე სუფრას; ისიც, რაღაი კუჭი ყოველ წამს ძალზე გატენილი ჰქონდა, გონების განვითარებისათვის აღარ იწუხებდა თავს. სულიერი ინტერესები აღარ ახსოვდა; უზნეობის განვითარებისათვის კი თავისი სოციალური მდგომარეობაც ხელს უწყობდა, თავისუფალი დროც ჰქონდა, ამიტომ სურვილიც მალე დაებადა და პირუტყულ ცხოვრებაში ჰპოვა თავისი მიზანი. მაგრამ ცხოვრება მარტივი იყო, მოთხოვნილება ცოტა, ამიტომ არისტოკრატიასაც უზნეობისათვის ვიწრო ასპარეზი ჰქონდა. ცხოვრებაში ხშირათ შედეგი გაცილებით დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზი; თუმცა ის მიზეზები, რომლებმაც ჩვენი არისტოკრატია წარმოშობეს და სხვის კისერზე დააჯინეს მუქთახორათ, დიდი-ხანია გადასხვაფერდენ, მაგრამ ფეოდალურმა არისტოკრატიამ კიდევ დიდხანს შეირჩინა სახე. დღეს, როდესაც ახალმა ეკონომიურმა პირობებმა ცხოვრებას ფერი აცვლევინეს, ჩვენი არისტოკრატიაც დაადგა გადაგვარების გზას: ერთი წილი დღითი დღე ღარიბდება,—პროლეტარიატდება, მეორე ინტელიგენტთა რიცხვში გადადის და ამით ორივე ჰკარგავს ფეოდალურ სახეს; დარჩა მხოლოთ ერთი ნაწილი, რომელმაც ჯერ კიდევ შეირჩინა ფეოდალური სახე; ამ ნაწილის წარმომადგენელია ტარიელ მკლავაძე. ამგვარათ ტარიელ მკლავაძეს სათავე ჩვენი ძველი ცხოვრების ეკონომიურ პირობებში მდგომარეობს. რადგანაც ცხოვრება განვითარდა და გართულდა, უზნეობასაც ფართო ასპარეზი გაეხსნა და ახალ ცხოვრებაში ტარიელმა შეიძინა მხოლოთ ის, რითაც ლუარსაბ თათქარიძისაგან განსხვავდება ე. ი. გონებრივათ კუს ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ, ზნეობრივათ უფრო დაეცა.

ყოველ დროს და ყოველი ერის ცხოვრებაში შეხვდებით ისეთ მოვლენებს, რომლებიც სხვა და სხვა დროის ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფი არიან. ამის მაგალითებს ჩვენი ცხოვრებაც იძლევა. კერძო საკუთრებამ მოსპო უძველეს დროს მატრიარხატი და აღორძინა პატრიარხატი; პატრიარხატის გაძლიერებას კი თან მოჰყვა პატრიარქალური ოჯახის აღორძინება. ამ დიდ ოჯახს ჰყავდა ერთი უფროსი მამათმთავარი, რომელსაც ყოველიფერში მორჩილებდენ ოჯახის დანარჩენი წევრები. ამგვარმა ოჯახმა ნელანელა გარდაქმნა თავისი წევრების შეხედულებანი; მამათმთავარს ჩაუნერგა ის აზრი, რომ ის ყველას თავია, ყველასათვის მან უნდა იზრუნოს ყოველგვარ შემთხვევაში; უნცროს წევრებს კი ის აზრი, რომ მათ ყოველგვარ საქმეში უფროსის ნება უნდა აასრულონ. ასეთი პატრიარქალური შეხედულება ჩვენს ხალხშიაც იყო გავრცელებული და სხვათა შორის ცოლქმრობის საქმეშიც იხატებოდა: უმეტეს შემთხვევაში საცოლე და საქმრო ჯვარის წერის დროს პირველათ ხედავდენ ერთიმეორეს, მათ ბედილბალს მათი მშობლები წყვეტდენ იმათ დაუკითხავათ, შვილების მოვალეობა მხოლოთ დამორჩილება იყო და მშობლების ნების შესრულება.

თავადობაში და თითქმის აზნაურობაშიც ამგვარი შეხედულება საცაა, მოისპობა. ყველაზე დიდხანს გლეხის ოჯახში დარჩა ეს ძველი შეხედულება, მაგრამ დღეს აქაც შეირყა მისი სიმტკიცე: ნინოშვილის მოთხრობებში ვხედავთ, რომ ამგვარ ჩვეულებას გლეხები ნელანელა უსამართლობათ თვლიან. რამ შეცვალა ამდენათ გლეხის აზროვნება? წარმოებელი ძალის განვითარებამ: მოისპო ჩვენში ბატონყმობა, მას თან გაჰყვა პატრიარქალური ოჯახების უკანასკნელი ნარჩენები, ახალმა ეკონომიურმა პირობებმა ნელანელა ფერი აცვლევინეს ცხოვრებას, შესაფერი შეხედულებანი და ჩვეულებანი მოითხოვეს,—და რასაკვირველია: სოციალურ ცხოვრებაში სანამ ახალი რამ აღორძინდებოდეს და ფეხს მოიმაგრებდეს, ძველის უვარგისობა უნდა შეიგნოს ხალხმა. თუმცა ჯერანს ჯერ კიდევ წმინდათ რჩამს ძველი ჩვეულება, მაგრამ მისი სიძულვილი ცოლისადმი, სამდურავი დედისა და დისადმი და ცილის წამება გვიმტკიცებენ, რომ მისი გონება და გრძნობა, მცირეოდნათაც არის, გაბრწყინებული. ის იტანჯება ძველი ჩვეულების ფარგლებში; მალე

1) იხ. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვდება ამ ჩვეულების უვარგისობას და კიდეც უარჰყოფს მას. ტასოს და ლიზას იმდენათ გახსნიათ გონება, რომ ძველი ჩვეულება მათ აღარ მიაჩნიათ წმინდათა წმინდათ, ხოლო მათ ძალა არ შეწევსთ, მამების უკანონო უფლებას გაუმკლავდენ, და ძველი ჩვეულების მსხვერპლი ხდებიან. მაგრამ ისინი კარგათ ხედავენ, სადაც არის მათი უბედურების სათავე, მათ ეზიზღებათ ეს ძველი ჩვეულება და, რაღაი ერთხელვე დარწმუნდენ მის უვარგისობაში, აღარ შეუძლიათ მას შეურიგდენ: ტასო ქმარს ღალატობს, ლიზა თავს იკლავს.

ნინოშვილის მემკვიდრეობის შესახებ ყოველგვარ მასალას მოკლებული ვართ, ამიტომ მარტო მცირეოდენი ცნობების შემწეობით არ შეგვიძლია მკითხველს სრულათ დავანახოთ მემკვიდრეობის კვალი მის ნაწერებში. ნინოშვილის დედის შესახებ ვერა გავიგეთრა. მამა იყო მეტათ უწყინარი და გულჩვილი; ყოველიფერი უყვარდა მას და ეცოდებოდა: ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს. ყველა ეს თვისებები მემკვიდრეობამ სრულათ არგუნა ნინოშვილს, აღზრდამ კი ძალიან განუვითარა. ის იყო მეტათ გრძნობიარე და პატიოსანი გულის პატრონი, მას ყოველიფერი აწუხებდა, ყველას გულშემატკივარი ის იყო და ყოველიფერი იმ ხომამდე ეცოდებოდა, რომ ხორცის ჭამაც კი ეზარებოდა თურმე. ასეთი გულის პატრონი უსათუოთ უნდა ყოფილიყო ყველა დაჩაგრულის მოყვარული და ყოველგვარი უსამართლობის მტერი. ნინოშვილმა თავის მთავარ მიზნათ უსამართლობასთან ბრძოლა გაიხადა, დაჩაგრულნი და გაჭირვებულნი უზომოთ შეიყვარა და მათი მოსარჩლე შეექნა. მეტის მეტათ მორიდებული და თავაზიანი კერძო ცხოვრებაში მთელი მისი ხან-მოკლე სიცოცხლე ბრძოლა იყო გაჭირვებასთან და უსამართლობასთან; უმთავრეს მის მოთხრობებში უსამართლობასთან ბრძოლაა გატარებული. ყველა უბედური და დაჩაგრული მას უყვარდა და ებრალებოდა, მეტათ მგრძნობიარე გულის პატრონს უსამართლობის არა თუ ხილვა, წიგნში ამოკითხვაც კი აატირებდა ხოლმე (ამის მაგალითი გ. წერეთელსაც მოჰყავს ნინოშვილის ბიოგრაფიაში); დედის ალერსი მას არ ახსოვდა; გაჭირვება ადრე გაიცნო. ყოველივე ამის მიზეზია ჯ აგრეთვე თვით ცხოვრების, რომ ნინოშვილის ყოველ მოთხრობას უბედური ბოლო აქვს; რამდენი მოთხრობაც უნდა დაეწერა ნინოშვილს, ბედნიერებით დაბოლოვებას ის ძვირათ მოახერხებდა. პატიოსნების და სიმართლის მოყვარეობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ნინოშვილი ცხოვრების უტყუარათ ხატვას ძალიან მაღლა აყენებს; რა ძლიერათაც უნდა უმღერეედეს მას გულს სინამდვილე, მის გალამაზებას აროდეს არ ცდილობს; მას უყვარს, ებრალება გლეხი, ებრძვის უსამართლობას და სიბნელეს, რომელიც გლეხს სულს უხუთავს, მაგრამ სინამდვილეს მაინც არ ღალატობს, არავითარ ცუდ თვისებას არ გვაშალავს ის თავის საყვარელ გლეხში. მემკვიდრეობას ხელი შეუწყო აღზრდამ და იმ წრის გავლენამ, რომელშიაც ნინოშვილი ტრიალებდა, პატიოსანი, სამართლიანი, სიმართლის მოყვარე და მგრძნობიარე გულის პატრონი დაბადებიდან მოკიდებული ისეთ პირობებში იყო, რომ სულ გაჭირვებასა და უსამართლობას ხედავდა; მან მალე გაიცნო ცხოვრება მთელი მისი ნაკლულევანებით; თუ სოფლის მასწავლებლათ იყო, თუ მწერლათ, თუ ასოთამწყობათ, თუ მუშათ და სხვ. ჩვენ არ ჩამოვთვლით აქ ყველა იმ გაჭირვებას, რომელიც უნახავს ნინოშვილს და თავის თავზე გამოუცდია. ამგვარი აღზრდა და გავლენა მალე მიაქცევდა მის ყურადღებას ცხოვრების ნაკლულევანებებს, დააფიქრებდა და მოაძებნინებდა მათ მიზეზებს. და მართლაც ის არა თუ პრაქტიკულათ სწავლობდა დღევანდელ ცხოვრებას, თავისუფალ დროს სულ წიგნებს ანდომებდა და მეტისმეტი ნაკითხი იყო. მისი ხასიათის, აღზრდის და მუდამ ღარიბთა და გაჭირვებულთა შორის ცხოვრების ბრალია, თუ ნინოშვილი თავის მოთხრობებში სულ უბედურთა და დაჩაგრულთა გარშემო ტრიალებს და იმათი გულის მესაიდუმლეა. ამგვარათ სოციალურმა პირობებმა, მემკვიდრეობამ და აღზრდამ დააყენეს იმ გზაზე ნინოშვილი, რომლისთვისაც მას არ გადუხვევია თავის მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს და არც გადუხვევდა, რამდენი ხანიც უნდა ეცოცხლა. თუ რამ წარმოშობა ჩვენი დღევანდელი სოციალური პირობები, ეს უკვე გავიხილეთ.

ივ. გომართელი.

ბ ე ლ გ ი ი დ ა ნ

ახალი საარჩევნო კანონი.

ძლივს!.. გამწვავებულ საარჩევნო კითხვას ელირსა გადაწყვეტა. (სადღეისოთ რასაკვირველია) ამ ხელათ მთავრობამ მიაღწია საწადელს. ინტეგრალური პროპორციონალური წარმომადგენლობა დაკანონდა. დესმეტდენეიერის კანონ-პროექტი მიიღო პარლამენტმა 7 ხმის უმეტესობით. 70 დეპუტატი გამოდგა მომხრე, 63 მოწინააღმდეგე, 8-მ არც ჰო თქვა, არც არა. მემარჯვენეთა უმრავლესობა ტაშის კვრით მიეგება პროექტის მიღებას, ხოლო სოციალისტებმა კი ასტეხეს სტვენა და დაცინვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტის „ვოტა“ (მიღება) სხვათა შორის ნათელს ჰფენს პროგრესისტების პარტიის ვინაობას. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამინისტრო ვერ გაიყვანდა თავის პროექტს, უკეთუ პროგრესისტების უმრავლესობას (ლორანის მეთაურობით) არ ეღალატნა ოპოზიციისათვის. მარა, რაკი პროექტის დაკანონება მათ რამდენსამე სადეპუტატო ადგილს პირდებოდა, მათ ველარ შეიძლეს დღიურ ინტერესებზე შორს წასვლა, ვერ მოახერხეს წვრილმან სარფასა და ანგარიშს იქით საერთო, უფრო დიდ მნიშვნელოვანი ინტერესების დანახვა; და, როგორც ხშირათ ემართება ხოლმე ბურჟუაზიულ, დემოკრატიულ პარტიებს, — მათ ზურგი შეაქციეს დემოკრატიულ საქმეს, მიატოვეს ოპოზიციის ბანაკი და მთავრობას ამოუდგენ გვერდში. ამ გვარათ მუშათა პარტიას ერთიით კიდევ მეტი გაკვეთილი ექნება, რომ კარგათ იცოდეს ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიების ნამდვილი ფასი. დღეს მუშათა პარტია, მაინც აღარ უცქერის მათ ნდობით და თითონვე ცდილობს დემოკრატიული საქმის მეთაურობასაც.

პროპორციონალური წარმომადგენლობის კარგი და ავი მხარე წინა წერილში აღვნიშნეთ; აქ მხოლოთ შევნიშნავთ, რომ ახალი კანონი, სხვათა შორის, აუქმებს ეგრეთ წოდებულ panachage-ს. ეს ნიშნავს ამრჩეველის უფლებას ხმა მისცეს ერთსა და იმავე დროს ორ სხვა და სხვა (სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიის) კანდიდატთა საარჩევნო სიას. ასეთი ხმის მიცემა მოწმობს, რასაკვირველია, ამრჩევლის უპრინციპობას, უაზრობას, შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს კონსერვატორიც იყოთ და პროგრესისტიც, ე. ი. შავი და თეთრი ერთფეროვნათ გეჩვენებოდეთ. ასე რომ ხსენებული panachage — მფარველობას უწევდა ამრჩეველის პოლიტიკურ სირეგვნეს და გონების სიბრმავეს.

გარდა ამისა ახალი საარჩევნო კანონი მუშათა პარტიას შესძენს ახალ მოკავშირეს პარლამენტში, სახელდობრ ქრისტიან-დემოკრატებს (დანსისტებს), რომელთაც დღევანდელ პარლამენტში არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავდათ. არსებობდა მხოლოთ რამდენიმე დეპუტატი ეგრეთ წოდებულ démocrates chrétiens-domestiqués-ებისა. ეს სრულიად პატარა უმნიშვნელო ჯგუფია; ამათ არაფერი საერთო არა აქვთ დანსისტებთან. ფაქტიურათ ეკუთვნიან კლერიკალურ პარტიას. ყოველთვის კლერიკალურ ბანაკში დგანან და მათთან ერთათ მოქმედებენ. მხოლოთ მუშათა თვალის ასახვევათ სახელათ ირქმევენ ქრისტიან-დემოკრატებს.

ოპოზიციაში იქნება აგრეთვე პროგრესისტული პარტია. ამათ მხოლოთ დროებით უღალატეს საქმეს.

პროგრესისტების ერთმა ცნობილმა ლიდერმა (ბელადი) სენატორ პოლ ჟანსონმა უკვე შეიტანა სენატში პროექტი კონსტიტუციის გადაშინჯვისა. გადაშინჯვის მიზანი უნდა იყოს საერთო ყველა 21 წლის მოქალაქისათვის საარჩევნო უფლების შემოღება.

ახალი კანონის შემოღებამ მუშათა პარტიას წარბიც არ შეახრევინა. იგი უფრო თავგამოდებით აპირებს ბრძოლას თავის საარჩევნო და საზოგადოთ პოლიტიკურ მოთხოვნილებების განსახორციელებლათ. პარტიის „უმთავრესმა საბჭომ“ პროექტის დაკანონების მეორე დღესვე გამოსცა ხალხისადმი მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის აცხადებს:— ყველა მებრძოლის მიუცილებელი მოვალეობაა უფრო მედგრათ, ვინემ როდისმე, ამხედრდეს სრული პოლიტიკური თანასწორობის მოსაპოებლათ. საერთო, ყველასათვის თანასწორი საარჩევნო უფლება უნდა იყოს უახლოებელეს ბრძოლის დევიზათ... ისინი, რომელთაც ერთხელ უკვე სძლიეს ყოვლის შემძლებელ, ცენზის მქონე ბურჟუაზიისაგან აღმართულ დაბრკოლებებს ვის განუდრეკელ ენერგიამაც გააბათილა და გააქარწყლა ვანდენპეერებოომის მთავრობის რეაქციონური ოინები, ისინი კვლავ შესძლებენ გამოსტაცონ მტერს უკანასკნელი პოზიცია (გამაგრებული ადგილი)... მანამდის კი შევამზადოთ მტკიცე ორგანიზაცია... საჭიროა კვლავ გაიზარდოს და უფრო კიდევ გაღონიერდეს მუშათა ძალა. ამისთვის საჭიროა მუდმივი შეუჩერებელი მოქმედება, ქადაგება სიტყვით, კალმით, პრესსით, მიტინგებით, ჟურნალებით, ბროშიურებით, ორგანიზაციით, საქმით... პროლეტარებო შეერთდით!“ პარტია უკვე შეუდგა მუშაობას. გარდა ამისა „უმთავრესმა საბჭომ“ დაადგინა პარტიის წლიური კონგრესი, რომელიც ჩვეულებრივათ ხდებოდა გაზაფხულობით, წელს მოხდეს 14 იანვარს. დაჩქარების მიზეზია ის, რომ კონგრესს სხვათა შორის წარედგინება განსახილველათ საარჩევნო კითხვა.

ამ გვარათ, ახალმა კანონმა სრულებითაც ვერ დააბოლოვა საარჩევნო კითხვა. ის გადაწყდა მხოლოთ სადღეისოთ. ხვალ იგივე კითხვა უფრო სასტიკათ და ულმობელათ წამოდგება ქვეყნისა და პარლამენტის წინაშე.

კითხვის ხელ-ახალი წამოყენება იქნება კლერიკალების საბოლოო დამარცხება. კლერიკალები საარჩევნო კითხვაში ვერც ერთ ნაბიჯს ველარ გადადგამენ ვერც წინ და ვერც უკან. ესენი უკვე მისული არიან კრიტიკულ წერტილამდის. უმცირესი განძრევა მათ ჩამოაგდებს საბძანებლიდან. ვეუსტს (უკიდურესი კლერიკალების ლიდერი) სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საბუთი ჰქონდა, როცა საარჩევნო პროექტის დაკანონების წინადღით, სასოწარკვეთილმა შესძახა პარლამენტში: „უბედურო მთავრობავ! უბედურო კათოლიკების პარტიავ!“ ეუსტს არ ატყუებს წინათგრძნობა, იგი ცდება მხოლოთ იმაში, რომ თავის პარტიის მომავალ დამხობას აწერს ახალ საარჩევნო კანონს. კლერიკალების ბატონობა შეირყა იმ დღიდგანვე, როცა ამ რამდენსამე წლის წინათ პარლამენტში სხვა და სხვა ბარონებსა და გრაფებს გვერდზე მოუჯდა მენახშირე მუშა (კავრო, პროლეტარების წარმომადგენელი დეპუტატი). ეუსტმა შეიძლება თავი ინუგეშოს იმით, რომ არც იმის თანამოძმე ლიბერალური პარტიაა მაინცა და მაინც ხანგრძლივი სიცოცხლის მექონე, რადგან შერყეულია თვით იმ კლასის ბატონობა, ვის ინტერესებსაც ეს პარტია წარმოადგენს. მან იცის, თუ საიდან ელის განსაცდელი; იცის, რომ ეს არ არის პროგრესისტების თუ რადიკალების პარტია, თუმცა ეს პარტია ხშირათ ძალიან მაღლა ყვირის თავის ოპოზიციონისტობაზე. ამას წინეთ ერთმა მემარცხენე-მთავრობის წარმომადგენელ-დეპუტატმა (ბეტუნი) ირონიით შენიშნა პროგრესისტებზე: „პროგრესისტები—ეს გიბრიდია, [1]) რომელიც მოკეცილი ზის კონსერვატიულ საკარძელსა და სოციალისტების ტაბურეტკას შუა, მაგრამ მუშათა პარტიას ღრმათა აქვს გადგმული ფესვები ხალხში. მუშათა პარტია ძალაა, ძალა როგორც მიმდევართა რიცხვით, ისე თავისი დისციპლინითო“, და მით სრული ჭეშმარიტება აღიარა.

ლ. ლ.

მტრები.

II.

ᲖᲐᲕᲘᲓᲐ ერთი თვე. მეექვსე კლასში ატეხილი საქმის გამოძიება მიწყნარდა, ის თითქმის აღარავის ახსოვდა, თუმცა მეექვსე კლასისათვის მან ძალიან დიდი ცვლილება მოიტანა: ივან პეტროვიჩი აღარ იყო გიმნაზიაში, მის მაგიერათ, თითქმის ყველა მოსწავლეებს სასიხარულოთ, ახალი მასწავლებელი მიწვიეს, ახალგაზდა, ლამაზი, მხიარული, რომლის ლაურჯ თვალებში იმდენი სიცოცხლე და ჭკუა გამოკრთოდა, რომლის წაბლის ფერ ულვაშებით ნახევრათ დაფარულ ტუჩებზე მუდამ დამცინავი ღიმილი თამაშობდა.

დირექტორს, რომელიც მეტათ კეთილი კაცი იყო, უნდოდა ისევ დაეტოვებინა ივან პეტროვიჩი, ძალიანაც გაუწყრა მთელ მეექვსე კლასს და, რაც გიმნაზიის ცხოვრებაში უჩვეულო მაგალითი იყო, საღამოს რვა საათამდე სახლში აღარ გაუშვა არც ერთი მოწაფე, სულ სხვა-და-სხვა ოთახებში დაამწყვდია, მაგრამ თვით ივან პეტროვიჩმა აღარ ინდომა არაფრის ნაირათ დარჩენა, მას სულ კანკალი აუტყდებოდა ხოლმე, თავისი შერცხვენა, თავისი დამცირება რომ გაახსენდებოდა. სხვა ღონე არ იყო, ახალი მასწავლებელი უნდა მიეწვიათ, ივან პეტროვიჩს კი, ბევრ ცდას შემდეგ, დირექტორმა რეალური გიმნაზიის უნტროს კლასებში უშოვნა მასწავლებლის ადგილი. ყველაფერი დაშოშმინდა, დაწყნარდა, ყველაფერი ისევ ისე თავის კალაპოტში ჩადგა, გამოიცვალა მხოლოთ ის, რომ ახლა მთელი მეექვსე კლასის მოსწავლეები ისტორიისთვის გაგიჟდენ და ყოველთვის ხელში ისტორიის წიგნი ეკავათ.

ახალი ისტორიის მასწავლებელი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ იაშვილი, მარგარიტას დეიდაშვილი იყო და ძალიან დაახლოებულიც იყო მარგარიტასთან. ჯერ ის არც კი დაენიშნათ მასწავლებლათ, რომ დაწვრილებით გაიგო დეიდაშვილისაგან ყველაფერი, რაც კი მათ გიმნაზიაში მომხდარიყო; მიიღო თუ არა ადგილი, მან გადაწყვიტა ცივათ და დაცინვით მოქცეოდა ამ თავგასულ მოწაფეებს, რომ მასაც თავზე არ წაჯდომოდენ და, მართლაც, თავს არ უტოლებდა, ერთხელაც არ გამასხრებია არც ერთს სხვა მასწავლებლებსავით და, როგორც კი რომელიმე მათგანი ეშმაკობას ან მასხარობას გაბედავდა კლასში, ისეთი ცივათ, ისეთი დაცინვით გადახედავდა ხოლმე, რომ მოსწავლეს უცებ ეკარგებოდა ცელქობის გაგრძობის სურვილი.

ნინკა მიჩვეული იყო, რომ ყოველი მასწავლებელი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, როგორც ყველაზე ლამაზს და ამასთან ძალიან ნიჭიერ, ცოცხალ და მხიარულ მოწაფეს. ამიტომ პირველ დღეებიდან იაშვილსაც თამამობა დაუწყო, მაგრამ ორჯელ სამჯელ იაშვილმა ისე გულგრილათ გაიჩერა, რომ ერთ კვირას ნინკა გაბუტული იყო, სულ თავჩაღუნული იჯდა და ერთხელაც არ შეუხედავს მასწავლებლისათვის; საუბედუროთ, მალე შენიშნა, რომ, ახალგაზდა მასწავლებელზე ეს დიდათ არაფერათ მოქმედებდა. მაშინ უეცრათ, ჩვეულებრივი

[1]) სხვა და სხვა ჯიშის ცხოველების შეუღლების ნაყოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისწრაფით გადაწყვიტა, გაგიჟებით მიყვარს ნიკოლაი ნიკოლაევიჩიო და მოკლე ხანში ისე შეეთვისდა ამ აზრს, რომ ამის მეტზე ველარაფერზე ფიქრობდა და ანიკოს ხან ერთ კარიდორში მიათრევდა, ხან მეორეში, ოღონდ კი რამე ნაირათ მოეხერხებინა და მეტ ჯელ მოეკრა თვალი მოხდენილ ახალგაზდა მასწავლებლისათვის.

— აგერ ნახავ, თუ იაშვილს არ შეუყვარდე! — ეუბნებოდა ხოლმე ანიკო, რომელსაც მართლაც ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ვისმე ნინკა არ შეეყვარებოდა. ერთიც ვნახოთ, ცოლათ გითხოვოს! რას იტყვი, ჰა?

— რას სულელობ, რამ გადაგრია, ანიკო? — ვითომ გაუჯავრდებოდა ხოლმე ამხანაგს ნინკა, მაგრამ თან ისე აინთებოდა, ისე გაუბრწყინდებოდენ თვალები და ისეთი გამომეტყველებით შეხედავდა ანიკოს, რომ ეს უკანასკნელი ცხადათ კითხულობდა მის სახეზე: „ნუ გაჩუმდები, ილაპარაკე, გამამტყუნეო!“

რამდენჯერმე ცდილობდა ნინკა მარგარიტას შერიგებოდა, რაკი გაიგო, რა ახლო ნათესავი იყო მისი იაშვილი, მაგრამ როგორც კი მარგარიტას თვალები მის თვალებს შეხვდებოდენ, მათში ისეთი ზიზღი, ისეთი სიძულვილი გამოიხატებოდა, რომ ნინკა ძალა-უნებურათ უკან იხევდა.

— იმანაც უნდა შემიყვაროს, უნდა შემიყვაროს! — ფიქრობდა ნინკა დღე, ფიქრობდა ღამე, გიმნაზიაში, სახლში, ყოველთვის, ყოველგან და თვალ წინ სულ ის სიცოცხლით სავსე ლურჯი თვალები, ის დამცინავი ღიმილით დაშვენებული, ნახევრათ ულვაშებით დაფარული ტუჩები ელანდებოდა... ის ტორიის გაკვეთილებზე ისეთი აღელვებული იჯდა ხოლმე, ისეთი გატაცებით და აღტაცებით მიჩერებოდა ხოლმე მასწავლებელს, რომ მალე მთელმა კლასმა შენიშნა და მთელმა კლასმა ხელება დაუწყო ახალგაზდა ქალს.

— არა! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია! — გამოუცხადა ერთ დილას თავის თავს ნინკამ და, ბევრი ფიქრიც არ დაჭირვებია, უცებ დაწერა წერილი, ჩადვა კონვერტში, დააწერა გიმნაზიის ადრესი, იაშვილის სახელი და გვარი და, გიმნაზიაში რომ მიდიოდა, ფოშტის ყუთში ჩააგდო. „რაც იქნება, იქნება, სახელს ხომ არ ვაწერ! თუ მაინც და მაინც, რითი მიხვდება, ჩემი ხელი არც კი უნახავსო!“ ფიქრობდა ნინკა, თუმცა გული მოუსვენრათ და თან მხიარულათ უცემდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი მიიღებს წერილს, წაიკითხავს, აღელდება, წარმოუდგება თვალწინ ნინკა, მისი ლამაზი სახე, მისი ხუჭუჭა თავი და... და ნინკა ფიქრშიდაც აღარ ათავებდა თავის აზრს, ამის მერე მეტი ბედნიერება, მეტი აღტაცება იყო, რომლის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა...

მხოლოთ მაშინ, როცა გიმნაზიაში, ამხანაგებში გაჩნდა, როცა დაინახა, რომ ყველაფერი გათავებული იყო, რომ საქმის გასწორება აღარაფრით აღარ შეიძლებოდა, მხოლოთ მაშინ მიხვდა, რა სისულელეც ჩაიდინა... სურათები, ერთი მეორეზე სამარცხვინო, ერთი მეორეზე საშიშარი სურათები ეხატებოდა თვალ წინ და სულ სისხლს უყინავდა ძარღვებში... აი, იაშვილმა მიიღო წერილი, წაუკითხა ნაჩალნიცას, დირექტორს, გამოიძიეს, რვეულების დახმარებით, ვისი ხელი იყო, და აი, ნინკა, მთელი გიმნაზიის საყვარელი, ცელქი, მოუსვენარი ნინკა გიმნაზიიდან დაითხოვეს. რას იტყვიან სახლში, ნათესავები, ნაცნობები, რას იტყვიან ყველა ამხანაგები? ღმერთო, ღმერთო!

მეოთხე გაკვეთილის მერე ნინკამ ველარ მოითმინა, ზედამხედველ ქალს თხოვა, ავათა ვარ და სახლში გამიშვითო, და თითქმის სირბილით გაექანა ფოშტისაკენ.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — ღიმილით ჰკითხა ფოშტის მოხელემ, ჩასუქებულმა შუა ხნის კაცმა, რომელიც ახალგაზდა ქალის ლამაზმა და აღელვებულმა სახემ მიიზიდა.

— მე აქ შეცდომით ერთი წერილი ჩავაგდე მეორეს მაგიერათ. არ შეიძლება, ყუთიდან რომ ამოვიღოთ? — ძლივს მოახერხა ნინკამ.

— როდის ჩააგდეთ? — ისევ ღიმილით ჰკითხა მოხელემ.

— დილას, რვა საათი იქნებოდა.

— მაშ უთუოთ კიდევაც წაიღებდენ. რა ადრესით იყო?

— აქაური, ქალაქური წერილი იყო.

მოხელემ გასაღები ამოიღო, ყუთი გააღო და ათიოდე წერილი გამოიღო. ნინკა თავს ძლივს იკავებდა, მზათ იყო ხელებში მივარდნოდა ამ ჩასუქებულ მოხელეს, რომელიც ასე გულგრილათ ათვალიერებდა წერილებს, და ყველა ერთიანათ წაერთმია.

— არა, აქაური წერილი ერთიც არ არის! ხომ ვთქვი, წაიღებდენ თქო! — თქვა მოხელემ და ეშმაკური ღიმილით შეხედა ახალგაზდა ქალს. — ძალიან საჭირო წერილი იყო? — დაცინვით ჰკითხა მან.

ნინკა სწრაფათ გამოვარდა ფოშტიდან. მთლათ მოწყვეტილი, თითქმის ავათმყოფი მიდიოდა ის სახლისაკენ. რა ჰქნა, ღმერთო, რა ჰქნა ეს, რამ წამოუარა, რამ გააგიჟა, რამ დაუბნელა ასე ჭკუა და გონება?

— ღმერთო, ამ ერთხელ გადამარჩინე და, თუ მეორეთ კიდევ მოვიქცე ასე, რაც გინდა ის მიქენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სისასტიკითაც გინდოდეს, იმითი დამსაჯე, მხოლოთ ამ ერთხელ მომიტევე. ღმერთო, ღმერთო... თითქმის უგრძნობლათ იმეორებდა საღამოს, დაწოლის დროს ნინკა, რომელსაც პერანგის ამარა დაეჩოქნა ცივ იატაკზე და ბალიშებში ჩაემალა თავისი ხუჭუჭ თმა გაწეწილი თავი...

III.

მესამე გაკვეთილი ისტორიის იყო. მოსწავლეები მოუთმენლათ მოელოდენ იაშვილის შემოსვლას, ნინკას ხან წითელი და ხან ყვითელი ფერი ჰკრავდა, თავი ორივე ხელებზე დაეყრდნო და ყურადღებით ჩაჩერებოდა წიგნს, თუმცა სტრიქონებსაც კი ვერ არჩევდა ერთი მეორისაგან.—დღეს მიიღებდა... ნეტავი რას იზამს?... ღმერთო, ღმერთო, ამ ერთხელ, ამ ერთხელ მომიტევე... და აკანკალებული ხელით ნინკა შეუმჩნევლათ პირჯვარს იწერდა.

აგერ კარიდორში მისი ფეხის ხმა მოისმა. ის ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, აი, კარებიც გაიღო; იაშვილი უცებ შეჩერდა გაღებულ კარებში და შვეიცრისკენ მიბრუნდა, რომელიც სწორეთ ამ დროს მოეწია და წერილი გამოუწვდინა.

— თქვენ სახელზეა, ბატონო!—ხმა მაღლა თქვა შვეიცარმა და ეს სამი მოკლე სიტყვა სამ ტყვიასავით მოხვდა ნინკას გულს, რომელმაც უეცრათ ძგერა შეწყვიტა. იაშვილმა გამოართვა წერილი, შემოვიდა ოთახში, ავიდა კათედრაზე, აუჩქარებლათ გახია კონვერტი და წერილს კითხვა დაუწყო. მოსწავლეები თვალს არ აცილებდენ იაშვილს, ნინკა სუნთქვასაც კი ვეღარ ახერხებდა, ის გაქვავებულსავით იჯდა თავის ადგილზე და ისევ ისეთივე ყურადღებით დაჩერებოდა თავის გაშლილ წიგნს.

იაშვილი წამოდგა და ნინკასკენ გაიხედა. მასაც, დიდი ხანი იყო, შეემჩნია, რა ალტაცებით მიჩერებოდა ხოლმე ნინკა, როგორ უხვდებოდა კარიდორის ყოველ მოსახვევში... ახლაც, ქალის გაფითრებული სახე, ძირს დახრილი თავი, ფერ დაკარგული ტუჩები ცხადათ ამტკიცებდენ ყველაფერს.....

— გაიგონეთ, რას მწერენ!—მოსწავლეებს მიუბრუნდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, ისევ დაჯდა და ისეთი ზიზღით, ისეთი დაცინვით წაიკითხა ხმა მაღლა წერილი, რომ ნინკა მზათ იყო ქვესკნელში ჩავარდნილიყო, ოღონდ თავისი წერილი ასე ხმა მაღლა და ასეთი შეურაცხმყოფელი კილოთი წაკითხული არ გაეგონა...

„ვიცი, რომ არავითარ ყურადღებას არ მიაქცევთ, ვიცი, რომ მე თქვენთვის არაფერი არა ვარ, მაგრამ მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, მეტი ძალა, მეტი ღონე აღარა მაქვს; უნდა გამოგიტყდეთ, რომ მიყვარხართ, გაგიჟებით, თავდავიწყებით მიყვარხართ; არაფერს არ გთხოვთ, არაფერს არ გეხვეწებით, ვიმეორებ, გწერთ მარტო იმიტომ, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, გრძნობა ჩემში აღარ ეტევა... თქვენ ვერაოდეს ვერ გაიგებთ, ვინცა ვარ, ეს კი იცოდეთ, ამას ნუ დაივიწყებთ, რომ არის ქვეყანაზე ერთი ქალი, რომელსაც თავის თავს, ყველა თავისიანს, მთელ ქვეყნიერებას—თქვენ ურჩევნიხართ!“

იაშვილმა გაათავა. მოსწავლე ქალებმა არ იცოდენ, რა ეფიქრათ და გაკვირვებით უყურებდენ ერთი მეორეს, ზოგმა ეჭვით ნინკასკენ გაიხედა.

— როგორ ფიქრობთ, ასეთი მჭერმეტყველურათ თავისი გრძნობის გამომხატველი ქალი სად უნდა ვეძებოთ?

იკითხა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა.

არავინ არა უპასუხარა.

— თქვენ რაღას ფიქრობთ?—მიუბრუნდა ის ნინკას.—ვიზე ავიღოთ ეჭვი?—ცოცხალ-მკვდარი ნინკა ძლივს წამოდგა ფეხზე. „ღმერთო, ღმერთო, ამ ერთხელ!“ მხოლოთ ეს უტრიალებდა მას თავში.

— რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე, დირექტორს წარვუდგინო ეს წერილი თუ ნაჩალნიცას?—განაგრძო იაშვილმა.—რას გაჩუმებულხართ, მირჩიეთ რამე, განა შესაძლებელია მაგგვარი გულქვაობა?

ნინკა საშინელი შესახედავი იყო, სამარის ფერმა გადაჰკრა, ტუჩები უკანკალებდ, მისმა თვალებმა გიჟური გამომეტყველება მიიღო... კლასში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— ნიკო, ეგ წერილი მე მოგწერე, მე გიხუმრე!—გაისმა უეცრათ კლასის სულ მეორე მხრიდან მარგარიტას სასიამოვნო ხმა.

— რიტა, შენ?—გაკვირვებით წამოიძახა იაშვილმა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა, შენიშნა, რა გაშტერებით, რა გაკვირვებით მიიხედა უცბათ მის დეიდაშვილისაკენ ნინკამ და მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე.

— ჰო, მე!... ახლა კი ვხედავ, რომ სულელური ხუმრობა მომივიდა, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც არ აჩვენებ მაგ წერილს არც დირექტორს და არც ნაჩალნიცას.—ღიმილით დაათავა მარგარიტამ.

— ტყუილი, რიტა, ცრუობ! ძალა უნებურათ წამოიძახა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა.

— გეუბნები, რომ მე დავწერე!—წარბები შეჰმუხნა მარგარიტამ.—შეგიძლია, როგორც გინდა ისე დაასჯევინო ჩემი თავი, მაგრამ დაჯერებით კი უნდა დამიჯერო!

იაშვილი დაჯდა და არ იცოდა, რა ექნა, რა ეთქვა.

— ამ ერთხელ დარჩეს ასე, ამას იქით კი, იმედია, ამისთანა, ხუმრობა აღარ გამეორდება!—თქვა მან ბოლოს და მარგარიტას და ნინკას ორივეს თვალი ააშორა; მერე გამოუძახა ერთ მოწაფეს და გაკვეთილი დაიწყო.

— რა ნაირათ შემეშინდა, ნინკა, მე მეგონა, ის წერილი მართლა შენ მიწერე!—წელზე ხელი მოხვია მეგობარს ანიკომ, როგორც კი იაშვილი კლასიდან გავიდა.

ნინკა გამოცოცხლდა, შიშმა გაუარა, ახლა მხოლოთ იმაზე ფიქრობდა, რანაირათ ეჩვენებინა ამხანაგებისათვის თავი. მარგარიტა! რა ჰქნა, რათ მიიღო თავის თავზე? ნინკამ გადაწყვიტა, ისევ ხუმრობით და სიცილით გამომძვრალიყო ამ უსიამოვნო საქმიდან.

— მაშ ეგ შენ უხუმრე შენ დეიდაშვილს? როგორ გეკადრებოდა! ხომ გადარიე საწყალი ყმაწვილი

კაცი! იფიქრა, სწორეთ მართლა შევყვარებივარ, რომელიღაც მზეთუნახავსო! — ამ ამხანაგური უზრუნველი კილოთი წარმოთქმული სიტყვებით მიუახლოვდა ნინკა კათედრაზე შემდგარ მარგარიტას. მარგარიტა უცებ მობრუნდა და ზევიდან ქვეით ისეთი ზიზღით ჩამოხედა ქალიშვილს, რომ ნინკა უნებლიეთ შეკრთა და მხიარული ღიმილი ტუჩებზე გაუშრა.

— მადლობელი ვარ, მარგარიტა, მადლობელი! — თავის და მოულოდნელათ უცებ შეცვალა კილო და აკანკალებული ხმით შესძახა ნინკამ. — ნუღარ ვიქნებით მტრები, შევრიგდეთ! — და ხელი გაუშვირა.

ერთ წუთს მარგარიტას უნდოდა გამოწვდილი ხელი ჩამოერთმია, მაგრამ გაახსენდა ის დღე, როდესაც ამავე ნინკამ საზოგადო ივან პეტროვიჩთან ერთათ ისიც დაადაბლა, ისიც დაამცირა და ფეხით გათელა, გაახსენდა, როგორ იცინოდა მაშინ ნინკა და რა ამაყათ მიჩერებოდა მას, დამარცხებულს და შერცხვენილს... და მაშინდელივით ახლაც ზიზღით შეხედა პირ-და-პირ თვალებში, ახლაც მაშინდელივით აკანკალებული ხმით შესძახა; — რომ იცოდეთ, რა ხაირათ მეზიზღებით! არა, არა, ჩვენ ისევ მტრები ვართ, ისევ!

ელ. წერეთელი.

1897 წ. 28 იანვარი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

შეცდომის გასწორება.

„კვალის“ უკანასკნელ ნომერში, „კვირიდან კვირამდი“ ნათქვამია: „გადაშალეთ მერვე გვერდი“ უნდა იყოს „გადაშალეთ მე-131 გვერდი“.

დაიბეჭდა და ისყიდება 1900 წ.

ქართული კედლის-კალენდარი

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

ფასი 40 კ.

გარეშე პირნი ამ ადრესით შეუძლიათ მოითხოვონ: Тифлисъ, книжный магазинъ грамотности дворц. ул. д. дворянства

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს — 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ივერია

გამოვა 1900 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქცია,

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

1900 წ.

„მოამბე“

(წელიწადი მეშვიდე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით	6 თვით	3 თვით
10 მანეთი	6 მანეთი	4 მანეთი

საზღვარ გარეთ წლიურათ 13 მანეთი.

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა ყოველ დღე, კვირა-უქმეებს შემდეგაც

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

1 წლით	6 თვით	3 თვით	1 თვით
6 მანეთი	3 მ. 50 კ.	2 მანეთი	75 კაპ.

საზღვარ გარეთ წლიურად 8 მანეთი.

წლიური ფასი შეიძლება განაწილდეს:

პირველად — 5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე — 3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე — 2 მანეთი.

რედაქტ. ალ. ჭყონია. გამომც. ალ. ჯაბადარი

პირველად — 3 მანეთი, 1-ლ აპრილამდე — 2 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე — 1 მანეთი.

დროებითი რედაქტორი ალ. ჭყონია.

განცხადების ფასი გაზეთში: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე — 5 კაპეიკი.

თუ განცხადება 3 ჯერ მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭვდა ნაკლები ღირება.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „МОАМБЕ“ и „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“.